

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

2.1 წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

2.2 კოლეჯი აყვანილი არის ცენტრალური დაცვის პულტზე და დაყენებული ცენტრალური დაცვის მექანიზმი.

2.3 კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით, შენობასა და ეზოში. დამონტაჟებულია 25 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, (მათ შორის 8 ერთეული - გარე გამოყენების და 17 ერთეული შიდა გამოყენების).

2.4 კოლეჯის პირველ სართულზე დამონტაჟებულია ტურნიკეტი, რომელიც ახდენს თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირებას, რაც გამორიცხავს კოლეჯში უცხო პირთა შეღწევას.

2.5 კოლეჯში დასაქმებულ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს აქვთ ელექტრონული დამკვიდრების პლასტიკური ბარათები, რის საშუალებითაც ფიქსირდება კოლეჯში მათი შესვლისა და გასვლის დრო.

მუხლი 3. დარაჯი

3.1 საშტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას.

3.2. დარაჯის უფლებები და მოვალეობები:

ა) კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;

ბ) კოლეჯში ტურნიკეტის გავლით შემომსვლელ და გამსვლელ პირთა ვინაობის, ნებისმიერი მატერიალური ფასეულობის გატანა-შემოტანაზე კონტროლი შესაბამისი ჟურნალის წარმოების გზით.

გ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთა გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციის ნებართვით;

დ) კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

ე) წესრიგის დარღვევის, ავარიული ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექციის სხვა წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთან შეთანხმებით საგანგებო სიტუაციების ან/და პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების გამოძახების უზრუნველყოფა;

ვ) კოლეჯის შენობის დაცვის ოთახში განთავსებული, მასზე მინდობილი კანცელარიის, ადმინისტრაციის კაბინეტების, ბიბლიოთეკის, არქივის, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზების, სხვადასხვა აუდიტორიებისა და სასწავლო სახელოსნოების გასაღებების უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფა;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).